

შპს „ოაზისი 9“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ოაზისი-9"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3198	35163	65032	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	397653	152620	168006	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	837	513051	821309	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები		2002	31	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა		2002	31	
საინვესტიციო ქონება	8800927	8961297	8997588	3.2
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	4	4	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	174859	232051	321472	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	957030	957030	957030	3.4
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	10334508	10853218	11330472	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	172107	164657	865916	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	418707	418762	418710	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	123894	153680	157689	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	295713	72033	104193	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			30824	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1010421	809132	1577332	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1291932	2912056	2923786	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	8032155	7132030	6829354	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	9324087	10044086	9753140	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10334508	10853218	11330472	
სულ მოკლევადიანი აქტივები	401692	702840	1054382	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1010421	809132	1577332	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.				
დირექტორები:	ზ. იაკობიძე			
	დ. მიმინოშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ოაზისი-9"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	1428845	776730	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1428845	776730	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-60583	-6837	
საერთო მოგება	1368262	769893	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-55896	-56276	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-320097	-315262	
საპროცენტო შემოსავალი	1515	927	
საპროცენტო ხარჯი		-338	
იჯარის ხარჯი	-12499	-13838	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-194562	-100076	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-581539	-484863	
საოპერაციო მოგება	786723	285030	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-23348	-87338	
მიღებული დივიდენდები	67000	92000	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	70063	68019	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	900438	357711	3.9
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	900438	357711	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	900438	357711	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10044086	9753140	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	-1620124		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-313	-55035	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-11730	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9324087	10044086	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.			
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე		
_____	დ. მიმინოშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ოაზისი-9"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1048562	-72665
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	540398	85214
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1620124	-41475
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-31164	-28926
სავალუტო კურსის ეფექტი	-801	-943
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	35163	65032
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	3198	35163
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.		
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე	
_____	დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ოაზისი 9“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1996 წლის 29 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-206. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – 211322736, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., N37-39, საოფისე ფართი N602. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით:

ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) - 50% წილის მფლობელი;

დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) - 50% წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) და დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

2024 წელს მოხდა პარტნიორთა ცვლილებები და 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტში კომპანიის მფლობელები არიან:

შპს „ინნო გრუპი 24“, ს/ნ 404734356 - 50% წილის მფლობელი;

შპს „ლეტიცია“, ს/ნ 404734249 - 50% წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. არასაცხოვრებელი შენობები, რომელთა ფართები ქირავდება ან განკუთვნილია გასაქირავებლად, მდებარეობს თბილისში (კოსტავასა და თაბუკაშვილის ქუჩებზე). არაძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საოფისე სარემონტო სამუშაოები.

1.4. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო – შპს „ბიჯი ოილი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 402029719), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%, 2020 წლის 28 მაისიდან.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2023 წელს შეადგენდა 11 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით,

კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის

გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები -	25-40 წელი;
მანქანა-დანადგარები -	8-10 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა -	4 წელი;
სხვა საოფისე აღჭურვილობა -	5 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები-	2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთათვისაც შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

31.12.2023 წლის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

31.12.2022 წლის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3197	24964
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1	10192
ევროები საბანკო ანგარიშებზე		7
სულ:	3198	35163

3.2. საინვესტიციო ქონება - მიწა:

	ნაშთი 31.12.2023 წ. მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 წ. მდგომარეობით
მიწა ისნის რაიონში	3902169	3902169
„გრატოს“ შენობის წილხვედრი მიწა	159146	159146
მიწა თაბუკაშვილის ქუჩაზე	200300	200300
სულ:	4261615	4261615

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობა კოსტავას ქუჩაზე (ადმ. ნაწილის გარეშე)	3134604	94629	-174328	3214303
სასტუმროს შენობა თაბუკაშვილის ქუჩაზე	1404708	0	-80671	1485379
სულ:	4539312	94629	-254999	4699682

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილის წილხვედრი მიწა	1431			1431
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილი	2620	-2415	-124	5159
ძაღოვანი, თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები, დიზელ-გენერატორები	90123		-31568	121691
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	79370	1311	-23811	101870
სხვა ძირითადი საშუალებები	1315	0	-585	1900
სულ:	174859	-1104	-56088	232051

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა წლის ბოლოს შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 2650230 ლარს;

2022 წლის ბოლოს - 2339145 ლარს.

3.4. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში:

ამ მუხლში ასახულია ინვესტიცია 2023 წლის ბოლოს 957030 ლარის ოდენობით მეკავშირე საწარმოს - შპს „ბიჯი ოილი“-ს კაპიტალში, რომელშიც შპს „ოაზისი 9“-ს ეკუთვნის 50%. ინვესტიცია აღიარებულია მისი თვითღირებულებით, შპს „ბიჯი ოილი“-ს წილის შესყიდვისას წინა მესაკუთრისთვის გადასახდელი თანხის ოდენობით.

3.5. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

ეს მუხლი შედგება 2023 წლის ბოლოს დირექტორებზე გასაცემი ხელფასის ვალდებულებისაგან - 418550 ლარი (ეს ვალდებულება წარმოშობილია იმ პერიოდში, როდესაც არ ხდებოდა სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების დაკავება და დარიცხვა) და სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების გადახდის ვალდებულებისაგან - 157 ლარი. სულ - **418707** ლარი.

3.6. ნეტო ამონაგები

2022-2023 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საიჯარო შემოსავლებიდან და იჯარით გაცემულ ფართებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის მოიჯარეებისაგან მიღებული კომპენსაციებისაგან:

	2023 წელი	2022 წელი
საიჯარო შემოსავლები	1368262	769893
სარემონტო სამუშაოების კომპენსაცია	60583	6837
სულ:	1428845	776730

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2023 წელი	2022 წელი
საშუამავლო მომსახურება	-33896	-22820
საკომუნიკაციო ხარჯები	-13512	-1515
კომუნალური ხარჯები	-55882	-103
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-12000	-12000
ქონებისა და მიწის გადასახადები	-50207	-51924
სანოტარო ხარჯები	-70	0
საბანკო ხარჯები	-1165	-1174
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-19564	-128
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-8266	-10412
სულ:	-194562	-100076

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

	2023 წელი	2022 წელი
მიღებული პირგასამტეხლოები	1413	67879
მოგება მს-ეების გაყიდვიდან	68661	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალი	383	214
საურავები	-390	-74
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი	-4	0
სულ:	70063	68019

3.9. მოგება-ზარალი და საკუთარი კაპიტალი:

2023 წელს მიღებული იქნა 900438 ლარი მოგება, რაც დაახლოებით 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე 2022 წელს მიღებული მოგება. ეს ზრდა განაპირობა საიჯარო შემოსავლების მნიშვნელოვანმა მატებამ.

2022-2023 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა და მოგების გადასახადის ხარჯი არ წარმოშობილა.

2023 წელს კომპანიის პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება წესდებით დადგენილი კაპიტალის შემცირების შესახებ (წილობრივი მონაწილეობის შეუცვლელად) და ამ მიზნით შეამცირეს კაპიტალი ფულადი შენატანების უკან დაბრუნების გზით, 1620124 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2023 წლის ბოლოსათვის კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება შემდეგი თანხებისაგან:

წესდებით განსაზღვრული კაპიტალი – 1291932 ლარი;

გაუნაწილებელი მოგება – 8032155 ლარი.

სულ – 9324087 ლარი.

3.10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები:

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სახელფასო ვალდებულებები წინა პერიოდებიდან:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასი (ზ. იაკობიძე)	209275	209275	209275
გასაცემი ხელფასი (დ. მიმინოშვილი)	209275	209275	209275
სულ:	418550	418550	418550

ეს სახელფასო ვალდებულება მოდის იმ პერიოდიდან, როდესაც არ არსებობდა სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების მარეგულირებელი კანონმდებლობა.

3.11. სასამართლო დავები:

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის მაისში კომპანიამ გაყიდა მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინვესტიციო ქონება - სასტუმრო თაბუკაშვილის ქუჩაზე.

2024 წლის აგვისტოში, შეიცვალნენ კომპანიის არსებული პარტნიორები და დამფუძნებელი ფიზიკური პირების წილები (50%-50%) გადაეცათ საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირებს - შპს „ინო გრუპი 24“-ს და შპს „ლეტიცია“.

2024 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება



წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3198	35163	65032	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	397653	152620	168006	
სხვა პირებზე ავანსებად და შესხებად გაცემული ფულადი სახსრები	837	513051	821309	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები		2002	31	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა		2002	31	
საინვესტიციო ქონება	8800927	8961297	8997588	3.2
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	4	4	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	174859	232051	321472	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	957030	957030	957030	3.4
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	10334508	10853218	11330472	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	172107	164657	865916	3.5
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	418707	418762	418710	
საგადასახადო ვალდებულებები	123894	153680	157689	
გამოუმტოვებელი შემოსავალი	295713	72033	104193	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			30824	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1010421	809132	1577332	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1291932	2912056	2923786	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	8032155	7132030	6829354	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	9324087	10044086	9753140	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10334508	10853218	11330472	
სულ მოკლევადიანი აქტივები	401692	702840	1054382	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1010421	809132	1577332	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორები:  ზ. იაკობიძე
 დ. მიმინაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	1428845	776730	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1428845	776730	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-60583	-6837	
საერთო მოგება	1368262	769893	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-55896	-56276	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-320097	-315262	
საპროცენტო შემოსავალი	1515	927	
საპროცენტო ხარჯი		-338	
იჯარის ხარჯი	-12499	-13838	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-194562	-100076	
სულ საოპერაციო ხარჯები	-581539	-484863	
საოპერაციო მოგება	786723	285030	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.8
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-23348	-87338	
მიღებული დივიდენდები	67000	92000	3.9
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	70063	68019	
მოგება/ზარალი მოგების გადამ. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	900438	357711	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	900438	357711	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	900438	357711	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10044086	9753140	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	-1620124		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-313	-55035	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-11730	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9324087	10044086	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორები:

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1048562	-72665
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	540398	85214
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1620124	-41475
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-31164	-28926
საქალაუკუნო კურსის ეფექტი	-801	-943
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	35163	65032
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	3198	35163

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორები:



ზ. იაკობიძე



დ. მიმინაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.